მონდომებას წინ რა უდგას?

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 22 აპრილი, 45 000 მაყურებელი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 3:0.

“ზენიტი”: პრიხოდკო, დავიდოვი, ბარანიკი, დოლინი, ვედენეევი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ჟელუდკოვი, კომაროვი, მელნიკოვი, კლემენტიევი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, მახარაძე, ცაავა, შენგელია, მესხი.

33–ე წთ. ჟელუდკო, 56–ე წთ. ჟელუდკო, 64–ე წთ. კლემენტიევი.

65–ე წთ. კომაროვის ნაცვლად – დმიტრიევი, 72–ე წთ. კაკილაშვილის ნაცვლად – ფრიდონაშვილი, 84–ე წთ. ჟელუდკოვის ნაცვლად – ჩუხლოვი.

მსაჯი: ვალერი ბუტენკო (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 14:9 (9:4), ზუსტი დარტყმა – 5:1 (3:0), საჯარიმო მოედნიდან – 10:5 (6:2).

კუთხური – 4:4 (1:2).

დაჯარიმდნენ: ლენინგრადელები 17 (7), თბილისელები 14 (6).

დუბლიორები – 1:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა გოგრიჭიანმა.

თამაშის წინ ლენინგრადელ კოლეგებთან საუბარში შევიტყვე, რომ სულ ახლახან “ზენიტის” ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გუნდიდან სამი ფეხბურთელის გარიცხვის თაობაზე. ტიმოფეევი, სტეპანოვი, ბროშინი – ამ სამეულიდან მხოლოდ ტიმოფეევი არ მიეკუთვნება “ზენიტის” წამყვან მოთამაშეთა რიცხვს, თორემ სტეპანოვმა და ბროშინმა ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში 32–32 მატჩი ჩაატარეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლენინგრადელთა გაჩემპიონებაში. ორივე მათგანი 1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში შეიყვანეს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფეხბურთელთა მიმართ ესოდენ მკაცრი ზომები მხოლოდ ექსტრემალურმა სიტუაციამ განაპირობა. მართლაც, გათამაშების სტარტზე ზედიზედ ოთხი მატჩის წაგება ჩემპიონისთვის, მეტი რომ არ ვთქვათ, ჩვეული მოვლენა არ არის. “ზენიტის” უფროსმა მწვრთნელმა პაველ სადირინმა განაცხადა, რომ ჩემპიონის ტიტული ზოგიერთი ფეხბურთელისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი გამოდგა და წარუმატებელი სტარტის ძირითად მიზეზად სასწავლო–საწვრთნელი პროცესისადმი ცალკეულ მოთამაშეთა არასერიოზული მიდგომა დაასახელა.

სასურველი შემადგენლობით კიროვის სახელობის სტადიონის მინდორზე ვერც თბილისის “დინამო” გამოვიდა. ავადმყოფობის გამო მის რიგებში არ იყვნენ თენგიზ სულაქველიძე და გურამ ჩქარეული. მოვლენებს გავუსწრებ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თუნდაც მარტო სულაქველიძის არყოფნამ თბილისელთა თამაშზე გაცილებით მეტად იმოქმედა, ვიდრე ბროშინის, სტეპანოვისა და ტიმოფეევის გარიცხვამ – “ზენიტის” თამაშზე. პირიქით კი უნდა ყოფილიყო. აღმავლობის გზაზე მყოფ “დინამოს” არ უნდა გასჭირვებოდა სრულიად დემორალიზებულ მეტოქესთან თამაში (თუნდაც მისსავე მოედანზე). იმას როდი ვამტკიცებ, თბილისელებს ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოეგოთ–მეთქი. სპორტი იშვიათად ექვემდებარება მკაცრ ლოგიკას და აქ წინასწარ რაიმეს დაგეგმვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. გუშინწინდელ შეხვედრაში დინამოელებმა, სამწუხაროდ, ერთხელაც არ მოგვცეს საბაბი ეჭვი შეგვეტანა “ზენიტის” გამარჯვების

კანონზომიერებაში. ჩვენი გუნდის ყველა იმ ნაკლმა, უწინაც რომ არაერთხელ შეგვიმჩნევია, აქ ერთდროულად იჩინა თავი და მის თამაშს ყოველგვარი სიმწყობრე დაუკარგა. მასპინძლებმა უკლებლივ ყველა რგოლში, ყველა სათამაშო კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. ეს განსაკუთრებით გულდასაწყვეტია იმიტომ, რომ ვერც "ზენიტის" თამაში იყო ისეთი, რომელმაც შეიძლება აღგაფრთოვანოს და გათქმევინოს – ასეთ გუნდთან წაგება სამარცხვინო არ არისო.

კონსტრუქციული, კომბინაციური თამაში, მოგეხსენებათ, შეუძლებელია ზუსტი გადაცემების გარეშე, ეს კი სწორედ ის ელემენტი იყო, რომელშიც თბილისელები ყველაზე მეტად სცოდავდნენ. გრძელ პასებს ვინ ჩივის, – ლენინგრადელები მეტოქის მოკლე გადაცემების ჩაჭრასაც ახერხებდნენ და ამით თითქოს ხაზს უსვამდნენ დინამოელთა მთავარ სისუსტეს…

ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ ამჟამად არა გვყავს მოთამაშე, რომელიც წარმართავს გუნდის თამაშს, მოაწესრიგებს ურთიერთობას ცალკეულ მოთამაშეებსა და რგოლებს შორის, საჭირო მომენტში შეძლებს ტემპის შეცვლას… რაც გინდათ ის უწოდეთ ასეთ ფეხბურთელს – დირიჟორი, დისპეტჩერი, ან კიდევ სხვა რამ. ფაქტი ის არის, რომ მის გარეშე ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ გაუჭირდება სტაბილური წარმატებების მოპოვება.

უმჯობესია უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. დინამოელებმა თამაში ისე დაიწყეს, თითქოს მათი ერთადერთი მიზანი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, იყო. ჩივაძეს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ახალგაზრდა პარტნიორების შეცდომების გამოსწორება. რამდენიმეჯერ კი მანაც ვერ შეძლო ამის გაკეთება და, თუ პირველ ნახევარ საათში გაბელიას კარში ბურთი არ გასულა, ამის მიზეზი ლენინგრადელ თავდამსხმელთა უხეირო დარტყმებში უნდა ვეძიოთ. რიგრიგობით ცდებოდნენ კეტაშვილი, სვანაძე, არზიანი, მახარაძე, ჭედია – მთელი გუნდის ჩამოთვლა ალბათ არ ღირს. ლენინგრადელები განსაკუთრებით სახიფათოდ უტევდნენ მარცხენა ფრთიდან, სადაც აქტიურობდა ახალგაზრდა ნახევარმცველი ბარანიკი. მასაც და მის პარტნიორებსაც დინამოელები მეტისმეტ თავისუფლებას აძლევდნენ, უქმნიდნენ ბურთის მიღებისა და დამუშავების ყოველგვარ პირობებს. ყოველივე ამის ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა "ზენიტის" მცველთა სხვაგვარი ტაქტიკა. ავიღოთ მაგალითად დოლგოპოლოვისა და შენგელიას დუელი. ლენინგრადელი ფეხბურთელი წამითაც არ შორდებოდა ჩვენს მთავარ ბომბარდირს და თამაშიდანაც გამოთიშა იგი. თუმცა შენგელიას მაინც შეეძლო თავის გამოჩენა. 25–ე წუთზე ჭედიას დარტყმის შემდეგ მან ისეთ სიტუაციაში მიიღო ბურთი, რომ გოლის გატანა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ 15–16 მეტრიდან კარის წინ მარტო დარჩენილმა არაზუსტად დაარტყა. მე–40 წუთზე კი მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთმა ზედა ძელს გადაუარა.

ამ დროისთვის "ზენიტი" უკვე იგებდა შეხვედრას. 33–ე წუთზე თბილსელთა ცენტრალურმა მცველებმა მორიგი საჰაერო ორთაბრძოლა წააგეს კლემენტიევთან, რომლის თავური დარტყმაც მოიგერია გაბელიამ, მაგრამ იქვე უყურადღებოდ მიტოვებულმა ჟელუდკოვმა ანგარიში გახსნა – 1:0.

დანარჩენი ორი გოლის აღწერას აღარ შევუდგებით – ისინი ტელემაყურებლებმაც კარგად ნახეს.

უკვე თბილისურ მატჩებში შეიმჩნეოდა და ეს აღინიშნა კიდეც "ლელოში", რომ გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი ნახევარდაცვაა. ითქვა ისიც, რომ ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებენ ჩივაძე და სულაქველიძე. საკუთარ მინდორზე ამგვარი ფუფუნების უფლება, დროგამოშვებით მაინც, ალბათ ჰქონდა "დინამოს". აი

ლენინგრადელებთან შეხვედრაში კი ჩივაძის წინ წასვლამ ერთობ ცუდი სამსახური გაუწია გუნდს. ასეთი რანგის მცველის ნახევარდაცვაში წაწევა, შესაძლოა, გაუმართლებელი რისკიც იყო, მით უფრო, რომ ამ დღეს არ თამაშობდა სულაქველიძე, მაგრამ დინამოელთა მარცხს კაცი მარტო ამ მიზეზით ვერ ახსნი. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ლენინგრადის "ზენიტმა" გუშინწინდელ შეხვედრაში გაცილებით მეტი ენერგია დახარჯა. ეს კარგად იგრძნობოდა ყოველ წუთს მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთში. "ზენიტი" დამარცხებათა გრძელი სერიის შემდეგ უთუოდ პასუხისმგებლობის მეტი გრძნობით გამოვიდა მინდორზე, თითოეულმა ფეხბურთელმა გაიღო ის, რისი გაღებაც შეძლო და იქნებ მეტიც, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ჩვენს ფეხბურთელებზე.

დავით კაკაბაძე (ტელეფონით, "ლელო", სპეც. კორ.), ლენინგრადი.
"ლელო", 23 აპრილი, 1985 წ.